გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

ნადეჟდა გაბრიელის ასული განძიელისა, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მის დედის **სალომე იაგორის ასულის მამაცოვის** გარდაცვალების მე-40 დღეს, სამშაბათს, 11 თებერვალს, გადახდილ იქნება მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი ზირკინიანის წმ. კარაპეტის ეკკლესიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე; წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

**კნეინა ბარბარე სპირიდონის ასული და თავადი სერგეი გრიგოლის ძე წერეთლები** გულითადის მწუხარებით აცნობებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მამისას და მეორე სიმამრისას **გენერალ-მაიორის სპირიდონ სიმონის ძის მაჭავარიანისას**, სთხოვენ დაესწრენ გამოსვენებას მიცვალებულის გვამისას მისის სახლიდან სოფელს ცხრა-წყაროს, შორაპნის მაზრაში, ცხრა-წყაროს წმიდის გიორგის ეკკლესიაზე, 11-ს ამა თებერვლის თთვისას, სამშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 თებერვალს,

ქართულ დრამატ. საზ. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

**სამშობლო**

დრამა 5 მოქმ. თავ. დ. ერისთავისა.

სვიმონ ლეონიძის როლს შეასრულებს კ. **ყიფიანი**.

ლევან ხიმშიაშვილისას ვ. **ალექსი-მესხიშვილი**.

ადგილების ფასი მომატებულია

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

თეატრის ადმინისტრაცია უსამართლო საყვედურის ასაცდენად ამით აუწყებს ყველას, რომ ბილეთები ამ წარმოდგენისათვის ჩაებარება ორსავე კასას გასასყიდად კვირას, დღისით 12 საათიდგან. მსურველთ სთხოვენ დროზედ შეიძინონ ბილეთები, რათა წინანდებურად ჩარჩენს არ ჩაუვარდეთ ხელში.

ამ მომავალს კვირას სიონის საკათედრო ეკკლესიაში იქმნება, ჩვეულებისამებრ, სალამოს ლოცვის შემდეგ, ქადაგება ქართულს ენაზედ. ამ ქადაგებებში, როგორც მისს მაღალყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის ნება-რთვით დამტკიცებულს სიონის მქადაგებელთაგან მიღებულს პროგრამაშია აღნიშნული, განმარტული იქნება მესამე მცნება უფლის სჯულისა. (2—2)


## ახალი ამბავი

*** ცამეტს თებერვალს, ყველივრის ხუთშაბათს, შიო-მღვიმის მონასტრის დღეობას, მონასტერში სწირავს წინამძღვარი მონასტრისა, ეპისკოპოსი ალექსანდრე, და შემდეგ წირვისა ღირსის შიო მღვიმელის ნაწილებს გამოასვენებს და პარაკლისს გადაიხდის; შემდეგ პარაკლისისა ხალხს წმინდა წყლით ასხურებს და ნაწილებს ამთხვევინებს.

*** ტფილისში ჩამობრძანდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი.

*** ჩრდილოეთის სააგენტომ შეატყობინა მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებს, რომ სამარას გუბერნიიდგან 5,000 კაცამდეა გამოგზავნილი ნოვოროსიისკსა და სოხუმს შუა გასაყვანს გზა-ტკეცილზედ სამუშაოდ.

*** უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, სამ-კლასიანი პირველ-დაწყებითი საქალაქო სასწავლებლები ოთხ-კლასიანად გადააკეთოს ხარკოვისა, ოდესსა და ზოგიერთს სხვა ქალაქშიაც.

*** დღეს, 9 თებერვალს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია სახალხო ლექციები. ლექციებს წაიკითხავენ: ალ. ა. ქალანთარი და კ. ა. გორბაჩევი.

ლექციები დაიწყება 12 საათზედ. ადგილების ფასი 20 კ., მოსწავლეთათვის—10 კ.

*** სამშაბათს, თერთმეტს თებერვალს, საზაფხულო თეატრში დანიშნულია გამოსამშვიდობებელი ბენეფისი ქ-ნ მ. ს. მაიეროვისა, რუსულის სცენის ერთის საუკეთესო არტისტ-ქალთაგანისა. ქ-ნი მაიეროვისა უკვე ოთხი წელიწადია, რაც ჩვენის ქალაქის რუსულს სცენაზედ ილვწვის და ბევრი პატივისმცემელიცა ჰყავს. არტისტ-ქალს თავის საბენეფისოდ ამოურჩევია ოსტროვსკის პიესა „Гроза“, რომელშიაც კატერინას როლი ჯერ არ უთამაშნია ქ-ნს მაიეროვისას ტფილისში. ქ-ნი მაიეროვისა სამშაბათიდგან თავს ანებებს ჩვენს ქალაქს, რადგან საიმპერატორო სცენაზედ აპირებს შესვლას.

*** ბ-ნმა რონინაშვილმა შესწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკას ორი დიდი ვიტრინა. საზოგადოება შემომწირველს მადლობას უძღვნის.

*** სოხუმიდგან ამბავი მოვიდა, რომ ამ თთვის 3, ღამის 2 საათზე, აქ მიწა იძრაო. მიწის ძვრამ 2—3 წამს გასტანაო.

*** ბათუმიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გრიგალმა, როგორც აქ ამბობენ, ერთი გემი დაჰღუპაო.

*** ვაზის სახმარებელი მაშინა, რომელიც გააკეთა საცდელად ბათუმში, არ. აბაშიძის აზრითა და რჩევით, იქაურმა სამეხანიკო სახელოსნოს პატრონმა ატიანმა, დღეს უნდა სცადონ ტფილისში ერთ-ერთის აგრონომის სახლში ზოგიერთ მცოდნეთა თანადასწრებით. თვით გამგებელი მაშინისა ბ-ნი რატიანი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და გამოცდას თითონაც დაესწრება. თუ ამ კერძო გამოცდის დროს ეს ვერმორელისებური სასხურებელი ვაზისა მოწონებულ იქმნა, მაშინას შემდეგ წარუდგენენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს.

*** მცხეთის ბიბლიოთეკას ამ ჟამად უფასოდ მისდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „Рус. Вѣд“., „Школ. Обоз.“, „Сѣв. Вѣст.“, „Сѣверъ.“. „ჯეჯილი“, „Зем. Врачъ“. „Нов. Обоз.“ & „Каспій“. გამგენი ბიბლიოთეკისა მადლობას უძღვნიან რედაქციებს.

*** ოზურგეთი: ამ დღეებში დაჰბეჭდეს აქ მეორე გამოცემად წიგნი „ეთერიანი“.

*** აჭარა: კახაბრიდამ, სახელდობრ, სოფელ ბზუბზუდამ 140 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა გადასახლდა ოსმალეთში რუსთ-ოსმალოს შემდეგ. ამ ხანებში ერთი მათგანი უზეირ-აღა ბოლქვაძე ისევ დაბრუნდა თავისს სამშობლო ქვეყანაში და ამბობს, ჩემთან წასულნი ქართველნი უკანვე მოსტირიან თავიანთს ქვეყანას, მაგრამ ხელ-მეორედ აყრა და გადმოსახლება უჭირდებათ სიღარიბის გამოო. ყველანი ამ ჟამად სამსონში სცხოვრობენ. აღა ბოლქვაძეს უნდა დაიბრუნოს კვლავ ზოგიერთი თვისი მამულები და ამ აზრით, უნდა მიართვას თხოვნა მთავარ-მართებელს. თუ მე მომიხდა კვლავ გადმოსახლება ჩემის ცოლ-შვილით ჩემს სამშობლო ქვეყანაში, სამსონიდამ სხვებიც გაჰბედავენ და გადმოსახლდებიანო.

*** ცხინვალი: ამ დღეებში აღმოაჩინეს და შეიპყრეს აქ სამი ავაზაკი, რომელთაც, როგორც აღმოჩნდა, განზრახვა თურმე ჰქონიათ შეედგინათ ახალი ბრბო ავაზაკთა და გაზაფხულზედ დაეწყოთ ბოროტ-მოქმედება. ამ ავაზაკთ, ცნობა ჰქონიათ შარშან შეპყრობილ ავაზაკებისა, რომელთაც ისეთი საშინელი შიშის ზარი დასცეს მთელს გორის მაზრას.

*** ქუთაისი: 5 თებერვალს, ახალს თეატრში, რომელიც საგანგებოდ მოაწყვეს ბ-ნთ: მესხმა და ნ. გამრეკლიშვილმა და რომელსაც მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს—ის, რომ ღუმელები არ დაუტანებიათ გასათბობად, რის გამოც, ცოტა არ იყოს, ცივია, წარმოადგინეს ტფილისიდამ ჩამოსულ არტისტების დახმარებით „შეშლილია“ და „ბაიყუში“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. როგორც შევიტყევთ, ბ-ნი კ. მესხი აპირობს კიდევ ექვსის წარმოდგენის გამართვას ყველიერის დამლევამდე. ბოლოს წარმოადგენენ „სამშობლოს“, რომლისათვისაც სრულიად ახალი და მდიდრული ტანისამოსია დამზადებული. ხალხი ჯერ-ჯერობით ხალისიანად დაიარება ახალს თეატრში.

*** სოფ. სალხინო (სამეგრელო): ახალმა წელმა ბევრი სხვა-და-სხვა

## ფელეტონი

### რუსთაველის სურათს

მე სულ ის მინდა, შენ გიყურო,
მოგესალმო,
ჩვენის მწერლობის, ხელოვნების დროშა-ალამო,
ენა-მზიანო, მარგალიტთა დამბადებელო,
დიდის ჭკუა-გრძნობით ქართველთ გულის ამღელვებელო!
სულ სხვაფრივ ჟღერავს შენი ქნარი
ალმა-მფრინავი,
ციურის ხმებით, ნეტარებით კაცთ
მომხიბლავი.
შენ ზეციდგან ხარ მოვლენილი ჩვენს
მნათობელად,
გამოუთქმელის გულის-თქმისა გამოსათქმელად;
ზღვა ხარ სიბრძნისა, სიმშვენისა, სადიდებელო,
ძმობა-ერობის, სიყვარულის გამმეფებელო!
შენი სიტყვები გულსა სწვდება და
აკამკამებს,
სულს ანუგეშებს, ბნელს ანათებს,
წუხილს აამებს,
მხდალს ალომ-გმირებს, უგუნურსა
აგონიერებს,
მკვდარსა აცოცხლებს და ულვთოსა
ალვთისნიერებს.
აი რისათვის თაყვანსა გცემ, გულის
კალამო,
მზეო სულისავ, ბრძენთა ბრძენო,
ქვეყნის მალამო!

დ. მაჩხანელი

...ისკ
კის გამ...

### წკიპურტი 4.

ჩემი წარსული თავ-გადასავალი.—საჩივარს, ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!—ძვირფასი საპონი და ხონელების დავა.—კარ-ჩაკეტილ-დახშული კრება.

იმედია, ვიწკიპურტო როგორმე, თუ წარსული ტანჯვა არ გამოვიარე და, მაშინდელებრ, მე არ დამიწყო უცულომა და ცულიანმა შეკრეჭაშემოკლება. ოჰ, მკითხველო, ვერ წარმოიდგენ, თითონ მე, წკიპურტს, რამდენი მუჯლუგუნი და წკეპლა მომხვდება ხოლმე, ვიდრე შენს ნათელს პირს ვიხილავდე და შენს წინაშე გამოწკიპურტებას ვღირსებოდე! გამოვეწყობი, გამოვიჯგიმები, ხმალ-კაპარჭს შემოვიმაგრებ, მაგრამ ჯერ სამიოდე თაბახი ცივი წყალი უნდა გადამასხან ხოლმე თავს და მერე მაღირსონ ასპარეზად გამონავარდება საწკიპურტოდ.

ვიდრე რედაქტორის მწყრალ-ქუშსა და ღიმილ-მიუკარებელს სახეს ვნახავდე, ოთხმა თუ ხუთმა კაცმა უნდა გამწეწოს და გამომწეწოს, შემკრიჭოს, შემთალოს, დამაპატარაოს, გული და ღვიძლი ამომიცალიეროს და ისე მომცეს ნება მეთაურის ხილვისა. როგორც შაჰის წინაშე წამდგარს უბრალო სიკვდილის შვილს ჯერ გააბანებენ ხოლმე და ინით შეუღებენ თმა-წვერს, მეც ისე ოთხის-ხუთის ჭკუის მუხრუჭში უნდა გამატარონ...

მოვრჩი ამ განსაცდელსაც. მეთაური მიმიხმობს, მრისხანედ გადმავლებს თვალს და ისეთ ნაირად დამიწყებს ჩხრეკას, თითქოს მომეპაროს რამე და ნაქურდალის პოვნას მიპირებდესო. თვალ-წარბში შევცქერი, აღსასრულის დღეს ველი და შიშით ისე ვკანკალებ, თითქოს სულთამხუთავს ცოდვებს ვაბარებდეო. აგერ მისი თითები უშველებელს კალამს დასწვდა და შენს მტერსა და დუშმანს დასდგომია ის დღე, რაც მე დამადგება.

— ათჯერ მითქვამს და გიმეორებთ, ისე უნდა მოახერხოთ, რომ იწკიპურტოთ და არავის-კი არა ატკინოთ-რა. ვისაც წკიპურტი ჰკრათ, იმან, კი არ გემდურებოდეთ, მადლობაც უნდა გადაგიხადოთ.

— ბატონო, წკიპურტისათვის მადლობა სად გაგონილაო, ჰპურდღუნებ პასუხად, მაგრამ ვინ მოგისმინა. მეთაური აქ წაგშლის, იქ შეგასწორებს, ერთს ადგილს სულ ერთიანად გადაგლადრის და ასე ზურგზე ბოლოადენილს გამოგისტუმრებს.

მოდიხარ ასე განახევარწკიპურტებული, დალონებულ-დაძმარებული და ჰგრძნობ, რომ ცალს ფულადაც აღარ

ახალი მოდის ავადმყოფობა მოგვიტანა. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცით, თუ რა უნდა იყოს ეს ავადმყოფობა, რომელიც მოდებულია, როგორც ჩვენს სოფელში, აგრეთვე სხვა სოფლებშიაც. ზოგიერთის სიტყვით, ინფლუენცა უნდა იყოს, რომელიც ამ ორის წლის წინად მძვინვარებდა და რომელმაც მრავალი გაისტუმრა საიქიოს. ხოლო რამდენად მართალია, ღმერთმან უწყის. ეს-კი ცხადია, რომ ამ გამოურკვეველის სენით მრავალია ამ ჟამად ლოგინად ჩავარდნილი და ვინ იცის, კიდევ რამდენს ჩააწვენს და აკვნესებს, თუ-კი შესაფერი ღონე არ ვიღონეთ. ორი თუ სამი ადამიანი კიდევაც გამოასალმა წუთი-სოფელს და, ცოტა არ იყოს, ამან ძალიან შეგვაშინა; ვაი თუ ძველებურად მუსვრა დაგვიწყოს...

*** იქიდამვე: წელს მიწის მოსავალს ფასი დაეკარგა და ჩვენს ჭაპან-წყვეტით ნაოფლარს სიმინდს გულ-ხელ დაკრეფილები შევყურებთ, აცა, როდის აიწევს სიმინდის მაზანდაო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, აწევა-კი, არა მთლად დაიკლო, ისე რომ ახლა ფუთის სიმინდის ფასს ექვსს შაურს ლაპარაკობენ. აბა წარმოიდგინეთ, ფუთი რომ ექვს შაურად გავყიდოთ, რა ბარაქას დაგვაყრის. ამიტომ ვამჯობინეთ ჯერ-ჯერობით არ გავყიდოთ, მაგრამ რას იზამ იქ, როდესაც ყოველ დღიური გაჭირება ოჯახისა კარზე გიდგია? მოდი და ნუ გადაჰყრი ჩალის ფასად... სიმინდის ფასის დაკარგვა, არამც თუ ჩვენ გვავიწროებს და გვაღონებს, არამედ მთელის სამეგრელოსთვის დასაკლისია, მით უმეტეს რომ, როგორც მოგეხსენებათ, მეგრელების ერთად ერთი საღსარი ცხოვრებისა მარტო სიმინდია. სწორედ შესაბრალისია ამ ჟამად სამეგრელო: ისე დაქვეითდა და შეჩერდა აღებ-მიცემობა, რომ იძულებულნი არიან სიმინდი ნახევარ ფასად ჰყიდონ.

*** სოფ. თეკლათი (სამეგრელო): წარსულის წლის „ივერიაში“, უკვე იყო მოხსენებული, რომ ჩვენი სოფელი და აგრეთვე მთელი ზუგდიდის მაზრაც დიდს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი უხიდობის გამო. მდინარე ცივზე, აგერ ორი წელიწადია, რაც ხიდი ჩამტვრეულია და ზედ გასვლა ურმით თუ ეტლით ბეწვის ხიდზე გასვლას მოგაგონებთ. ვინ მოსთვლის ამ ბედკრულს ხიდზე რამდენი საქანელი დაღუპულა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველათ-რა. წარმოსადგენადაც ძნელია, წარმოიდგინოს კაცმა ის გაჭირვება, რომელიც ხსენებულს სოფელს და აგრეთვე ზუგდიდელებს დაემართათ უხიდობის გამო. თუ ჩვენს გლეხს რამე აქვს გასაყიდი, უნდა წაიღოს ახალ-სენაკში ურმით იქნება თუ ცხენით, მაგრამ აბა როგორ წაიღოს, როდესაც გზა არსაით არის. არც ნაპირებიდამ შეიძლება გასვლა, რაც გინდა ბედაურის ცხენის პატრონი იყოს კაცი. ამიტომ ურიგო არ იქნება, ვისგანაც ჯერ არს, ესოდენს ყოველ-დღიურს გაჭირვებას ყურადღება მიაქციოს...

*** სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზრა): თითქმის წასრულ თთვის აქეთ ჩვენს სოფელში ინფლუენცა მძვინვარებს, რომელმაც მრავალი ჩააწვინა ლოგინად. ისე გაგვეპარა დღესასწაულები, რომ არც-კი შევიტყვია და ძველეიური მხიარულება თვალითაც არ დაგვინახავს. ინფლუენცას ზედ დაერთო სხვა უარესი ავადმყოფობაც. ხშირია უფრო ყელჭირვება, სურდო, ხველა და მრავალი სხვა. ყოველივე ეს უფრო იმან გაახშირა, რომ ოცს დეკემბერს აქეთ გამუდმებული მეტის-მეტი ჭინჭყლიანი დარებია და ერთს გულიანსა და მზიანს დღეს დაგვანატრულა. სწორედ საშინელი და სასტიკი ზამთარი დაგვიდგა წელს. ამისთანა ზამთარს დიდი ხანია, რაც არ მოვსწრებივართ... ქურდობა და ავაზაკობა, რომელიც ამას წინად გვარიანად იყო გავრცელებული, ახლა ცოტა არ იყოს, შემცირდა, ასე რომ ახალ-წლის აქეთ არავითარი ავ-კაცობა არა მომხდარა-რა.

*** ბათუმი: გრიგალის დროს დაშავებულთა შორის იაკუბ მელქუმოვი გარდაიცვალა, მემაშინეს თანაშემწეს ცოლს მარიამ ლუპიანისას ხელი მოსჭრეს და დეთუღა-ბეგ-ბადალი-ბეგოვს—ფეხი. გრიგალის დროს ციმერმანის სახლს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მალე ჩააქრეს. ამბობენ, რომ ნავთსადგურში 5 ნავი იდგა სოდით დატვირთული, გრიგალმა ჯაჭვები დაწყვიტა და ნავები ზღვაში გააქანა, ოთხი ნავიც ნავთით დატვირთული მოიტაცა გრიგალმა. ამბობენ კიდევს ვითომ გრიგალს სხვა ორი ნავიც მოეტაცოს, რომელშიაც ოთხი მეთევზე მჯდარა და ამათი ბედი ჯერ არავინ იცის.

*** გაზეთ „Times“-ს პარიჟიდგან აუწყებენ დეპეშით, რომ გენერალს ანნენკოვს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს საფრანგეთის ორს ინჟენერთან, Deurdet და Gotard-თან კასპიისა და შავის ზღვის შუა არხის გაყვანის შესახებ.

# ნაკვესი

ქრომა ჰკითხა მეორეს:
— ნეტავი მითხრა, ქალს მიენდობა კაცი?
— ვისაც ღალატისა არ ეშინიან, რასტომ?

## წერილი ქუთაისიდან

მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები
(5 თებერვალი)

კრება დაიწყო დილის $10\frac{1}{2}$ საათზე. გამოცხადდა 370 კაცი—450 ხმა. თავმჯდომარემ — ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, კენჭის ყრა მოხდება იმ სიაში მოხსენებულ კაცებისათვის, რომელიც კომისიამ შეადგინა და კრებამ დაამტკიცაო, და იმავე რიგით, რა რიგითაც სიაში არიან ჩაწერილებიო. ზოგნი ამბობენ, გუშინ გამოაცხადეთ, ალფა-ბეტის კვალობაზე უნდა მოხდეს კენჭის ყრაო, და ისეც უნდა მოახდინოთო. ქალაქის მოურავმა მაინც გადასწყვიტა, რომ სიის რიგზე მოხდეს კენჭის ყრა. ვისაც ამომრჩევლობის ნება არა ჰქონდა, ისინი დაითხოვეს დარბაზიდგან და კენჭის ყრას შეუდგნენ. დადგეს 16 ყუთი. კალ. ჩიკვაიძე და დავით მიქიაშვილი აცხადებენ, გუშინ არჩეული ასისტენტები უნდა სცენაზე მიიწვიოთო.

ქალაქის მოურავი. ეგ კაცები კანონის ძალით ჩემ თანაშემწედ არიან დანიშნულები, რომ კენჭის ყრისა და დათვლის დროს მომეხმარნენ; როცა დამჭირდებიან, მაშინ მოვიწვევ.

დავით მიქიაშვილი. ჩვენ მანდ უნდა ვიყვნეთ, რომ ყუთები ვუჩვენოთ ხოლმე, თქვენ არ გენდობით.

ყვირიან: „ამორჩეულები სცენაზე ავიდნენ!“ დიდი ხმაურობაა.

ქალაქის მოურავი. დამშვიდდით, დაბრძანდით. მეორედ გაფრთხილებთ, დამშვიდდით, დაბრძანდით. ხალხი დამშვიდდა და დასხდა. ქალაქის მოურავი იმათს სიას კითხულობს, რომელთაც ყუთები უნდა დაუდგან კენჭის საყრელად. ერთი გამგეობის მოხელეთაგანი ამომრჩეველთა სიით გამოდის. ხელ-ახლად უარესი ხმაურობა ასტყდა, თხოულობენ—ასისტენტები სცენაზე მიიწვიეთო. ქალაქის მოურავი დასთანხმდა და მიიწვია იოსებ მურადოვი და დავით მიქიაშვილი.

კალ. ჩიკვაიძე. რა ამბავია, რომ დაგვკეტეს და პოლიციელები შემოგვახვიეს? ნუ თუ აქედან გასვლა არ შეიძლება? მე მინდა წავიდე!

ქალაქის მოურავი. შეგიძლიან, მიბრძანდით.

ჩიკვაიძე გავიდა. მაშინ წამოდგა ბ-ნი ისიდორე გამყრელიძე და სთქვა: „ჩვენ ყურს არ გვიგდებენ, რასაც ვითხოვთ, არ გვისრულებენ! წავიდეთ ყველანი!“ მიდის. ამასვე ამბობს ვილაც მექუდე ჯოჯუა და მიდის. ამათ მისდევს მთელი ნახევარ-კრება. საშინელი ყვირილია: „წავიდეთ ყველანი“-ო, და მიდიან.

თავმჯდომარე. შეგიძლიანთ წაბრძანდეთ, უთქვენოდაც მოვახდენთ კენჭის ყრას.

კარში გასულები უკანვე ბრუნდებიან და თავიანთს ადგილებზე მიდიან. ხელ-ახლად ჰყვირიან და თხოულობენ, ჩიკვაიძე სცენაზე მიიწვიეთო.

კალ. ჩიკვაიძე (კარებიდგან) არ ვიცი, მიწვევენ და წავიდე სცენაზე, თუ არა?

ჰყვირიან: „მიბძანდით, მობძანდით სცენაზე!“

ჩიკვაიძე მიდის ყუთებთან. ამ დროს იძახიან, მეოთხე ასისტენტიც არის კონ. ქორქაშვილიო. ისიც მიიწვიეს სცენაზე. წესიერება აღადგინეს და კენჭის ყრას შეუდგნენ. რამდენსამე ხანს შემდეგ ქალაქის მოურავმა გამოუცხადა, მე დავიღალეო, და თავისი თანამდებობა გადასცა მოურავის მობადლეს ალ. გაბაევს. კენჭის ყრის დასასრულს ქალაქის მოურავი კვლავ მოვიდა. კენჭის ყრა და დათვლა კენჭებისა ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე გათავდა.

თავ. მერაბ ლორთქიფანიძემ მიიღო თეთრი კენჭი 190 და შავი 255; დავით ლორთქიფანიძემ—180 თეთ.—264 შავი; დავით აბდუშელიშვილმა—329 თეთრი—113 შავი; დავით ხელთუფლიშვილმა—239 თეთრი—205 შავი.

| | თეთ. | შავ. |
|---|---|---|
| ალექსანდრე ჰყონია | 159 | 285 |
| სიმონ ლოლობერიძე | 180 | 263 |
| ბესარ. ლოსაბერიძე | 167 | 275 |
| იაკობ ჩიმაკაძე | 157 | 286 |
| მოსე ქიქოძე | 341 | 103 |
| ვას. პეტრიაშვილი | 179 | 266 |
| ილარიონ მიქელაძე | 185 | 258 |
| ვას. ქორქაშვილი | 192 | 251 |
| კონსტ. ბაქრაძე | 170 | 273 |
| მელიტ. ქელბაქიანი | 246 | 197 |

მეთექვსმეტე ყუთი მარდახა ციციაშვილისა იყო, მაგრამ კენჭის დაწყებამდევე გამოაცხადა, ყუთს ნუ დამიდგამო. ქალაქის მოურავმა სთქვა, ყუთის აღება არ იქნებაო. როცა კენჭის თვლა უნდა დაეწყოთ მარდახა ციციაშვილისა, იმან თავისი თხოვნა კვლავ განიმეორა. კიდევ ყვირილი ასტყდა: „დათვალეთ!“ ქალაქის მოურავი უარზეა, აურია თეთრი და შავი კენჭები ციციაშვილისა და კრებას გამოუცხადა, ხვალ 9 საათზე მობრძანდითო.

6 თებერვალი

ამ დღეს ხარაზოვმა აღარ დაუთმო დარბაზი კრებას, რადგან საოპერეტო დასსა ჰქონდა დაქირავებული. გუშინაც მოსცდა წარმოდგენა, რადგანაც კრება გვიან დაიშალა. დასი ზარალის გადახდევინებას უპირობს ქალაქსა და ხარაზოვს. კრება ქალაქის გამგეობაში გადაიტანეს. კენჭის ყრა მშვიდობიანად გაათავეს. სულ რვა ყუთი იყო დადგმული.

| | თეთ. | შავ. |
|---|---|---|
| დავით მიქიაშვილი | 278 | 116 |
| სვიმონ კლდიაშვილი | 193 | 201 |
| მოშა თავდიდიშვილი | 123 | 272 |
| სერაფიონ შენგელია | 93 | 302 |
| ისიდორე გაბაევი | 272 | 123 |
| ივანე კაუხჩევი | 296 | 99 |
| ისიდორე გამყრელიძე | 139 | 256 |
| დიმიტრი მელია | 152 | 243 |

ხვალ კენჭის ყრას განაგრძობენ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. რიეთი** (გორის მაზრა). სოფელი რიეთი სკრის ხეობაშია, ეკუთვნის ხვედურეთის სოფლის საზოგადოება, მამული აქაურ თ. შალიკაშვილების საკუთრებაა. სოფელ რიეთის ადგილ-მამული თ. ალ. შალიკაშვილს თორმეტის წლის ვადით იჯარით მიუცია კურტანიძეებისათვის და კიდევ სხვა გლეხებისათვის. ხელშეკრულობის ძალით ეს დროებით დასახლებულნი გლეხნი სრული მფლობელნი

---

ვარგიხარ. მორჩა? იკითხავთ. აპა, ეს ჯერ შაქარია. ახლა კიდევ ზედამხედველის წინაშე უნდა წარსდგე, რომელიც, რაღაც კანონებითა და წითელის კალმით აღჭურვილი, იმ ორიოდე წკეპლასაც აგათლის, რაც ზედა გაქვს შერჩენილი ხორცად, და ასე ვაგლახად გაგისტუმრებს მკითხველთან. ისე დაისდები, ბუზსაც რომ ჰკრა თავში ისე გულ-დადებით გამწვეტებული საწკიპურტო ისარი, იმასაც-კი ვერას დააკლებ-რა!

არ გეგონოს-კი, მკითხველო, ვითომ ამითი ვისმე ვუჩიოდე. ღმერთმა დამიფაროს! ან სად უნდა იჩივლოს ადამიანმა, რომ მართალი სამართალი იპოვნოს. ჯერ ერთი, მედიატორებისა მე არა მწამს-რა, რადგან შეიძლება ისე გაგამტყუნონ, რომ შენს საბუთებს არც-კი ჩაუკვირდნენ და ჩაუფიქრდნენ, და, მეორე, მოგეხსენებათ:

ვისიც ენა წარტალია,
სიტყვაც მისი მართალია!..

**

საჩივარმა ან ჩხიკვიშვილს რა სიკეთე დააყარა, რომ მე ჩამიშაქროს პირი. საბრალო ჩხიკვიშვილი იმან გაამწყრალა, რომ ოთხის კაპიკის საპონი ხუთად დაუჯდა, კაპიკი გადააყოლა და, წარმოიდგინეთ, ამ ორ გროშიანმა დავა-საჩივარმა სამას ოთხმოცდა-ათი თუმანი-კი ინაცვალა.

ეს საქმე, მოგეხსენებათ, ხონში დატრიალდა, იმ ხონში, სადაც თვით ბუნება და ჰავა ისეთია, რომ ყოველს ახალს დაბადებულს ყმაწვილს „ამხანაგად“ თან დაჰყვება ხოლმე „Сводъ законовъ уголовнаго и гражданскаго судопроизводства“. ბ-ნმა ჩხიკვიშვილმა თავისი თხუთმეტის წლის ბიჭი მელქაძე ბაზარში გაჰგზავნა ერთის შაურის საპონის საყიდლად. მელქაძე ძალიან გონიერი ბიჭი აღმოჩნდა, კარგად იცოდა, რომ საპონს სარეცხი მოსდევს, სარეცხს—გაშრობა უნდაო, და გააშრო კიდეც ორი გროში.

გააშრო-კი, მაგრამ ანგარიში წაუხდა. ჩხიკვიშვილმა ნავაჭრი გადააბრუნ-გადმოაბრუნა და მაშინვე მიხვდა, რომ შაურის საპონს ორის გროშის ქაფი დაჰკლებოდა. ქუჩაშივე ბიჭს ორის გროშის ქურდობისათვის ცხრა-კეცი ტყავი გააძრო, მაგრამ ეს უცნაურს პედაგოგია იქვე მყოფს ავლიანს არაფრად მოეწონა. გამწვავებულს ჩხიკვიშვილს რაღა ეს უნდოდა, ვეღარ მოითმინა, იმ ანდაზისამებრ: „არა-მკითხე—მოამბეო მიტყიპე და მიაგდეო“, ერთი იმასაც უთაქა და... აირია მონასტერი.

იარა ოთხის კაპიკის საპონმა და ორის გროშის ისტორიამ სასამართლოებში და ჩხიკვიშვილისა, რომელიც ორს გროშს მისტიროდა, 350,000 გროშიც სხვა გადიგლისა ზედ!...

**

„სამეურნეო საზოგადოებას“-კი არც ესაპნება და არც საორ-გროშოდ აღშფოთებულ-აღბოგებულა. ამ საზოგადოების ერთის წევრის მოღვაწეობის ამბავი საზოგადოებისავე ჟურნალში დაიბეჭდა და ნაბეჭდს სიტყვას-კი, როგორც ეტყობა, ძალიან უფრთხის ეს საზოგადოება.

იქნება კიდეც ამიტომ გაჰმართა საზოგადოებამ კარ-ჩაკეტილი და კარ-დახშული კრება, რომ ვილაც მეგაზეთეები არ შემოიპარნენ და შინაური ამბავი გარედ არ გაიტანონ, საქვეყნოდ არ მოჰფინონო. კარი-კი ჩაკეტეს და ერთხელ კიდევ აპირებენ კარის ჩაკეტვას, მაგრამ ქვეყანაზედ დამალული რა არის, რომ ეს დარჩენილიყო!

წარმოიდგინეთ, „სამეურნეო საზოგადოების“ კარებს რაზა და კლიტე-ბოქლომი თურმე მხოლოდ იმისთვის დასჭირებოდა, რომ საყვედური გამოეცხადებინათ ამ საზოგადოების მდივნის, ბ-ნ ე. იოსელიანისათვის. მერე რა ჩაიდინა ისეთი მდივანმა? არაფერი, იმის მეტი, რომ წერილი დაჰბეჭდა, საბრეშუმო სადგურის აბრეშუმის თესლი ფშუტია და უბრალო ძაფსაც-კი ვერ ახვევს, არამც თუ აბრეშუმი გამოაკეთოს და გამოახვიოსო.

აბრეშუმის თესლის უვარგისობა შარშან ტფილისის ყველა გაზეთში არა ერთხელ იყო აღიარებულ-აღნიშნული, ქვეყანა ამასა სჩიოდა და ჰღაღადებდა, საიდუმლოს არავისათვის არ შეადგენდა და საკვირველია, ამის გამო ან საყვედურის გამოცხადებისათვის რისთვის იხარჯებოდნენ და ან კარ-დახშულს ოთახში რისთვის იკეტავდნენ თავს?!. სიმართლეს რაღა კარების გამოკეტვა და გამორაზვა უნდოდა? თუ საყვედურს ერიდებოდნენ, რად დაავიწყდათ ის ჭეშმარიტება, რომ

ვინც რომ ძროხას ჰთაკილობდეს
ნეკრასა იქს საპასუხსა!

ჩიორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან თ. ალ—ე შ—ის მამულისა ვადამდე. ტყეს აძლევენ მენაშხირეებს, აჭრევინებენ შეშას სხვა სოფლელებს და ფულს ართმევენ; ერთის სიტყვით, სრული მებატონენი გამხდარან. ამისთანა უფლებისათვის იგინი აძლევენ მამულის პატრონს წელიწადში ორმოცდა ათს თუმანს. აქვე, სკრის ხეობაში, თ. კ. შალიკაშვილის მამული დარჩა ბ-ნ სტაროსელსკისა, რომელსაც ტყის ყარაულებად დაყენებული ჰყავს ლეკები. დღემდის თავისუფლად სარგებლობდნენ თ. ა. შ—ის გლეხნი ყოვლის ფრით, მათი ხელის შემშლელი არავინ იყო. დღეს-კი მეორე მებატონის ტყის მცველებმა, ვილაც ლეკებმა—ახმედამ და სანკამ—ძალიან შეაწუხეს მოიჯარადრენი: ტყეში აღარ უშვებენ, აღარას ანებებენ, ხალხს არბევენ, ართმევენ ცულებს, საყევრებს, ასაკრავებსა; მარტო სოფ. რუისის მცხოვრებლებს წაართვეს ოცი ცული, ღირებული ოც მანათად, ერთი მაზარა, ღირებული ორ მანეთად, ექვსი ასაკრავი ტყავისა და მსხვილის თოკებისა, ღირებული თვრამეტ მანეთად,—სულ ოთხის თუმნის რამე მარტო რუისელებს წაართვეს, ახლა სხვა სოფლელებს კიდევ სხვა. დღეს მოიჯირადრე გლეხების ტყეში ველარავინ შედის შიშითა; მენახშირეებსაც აღუკრძალეს ნაშხირის წვა. თვით მოიჯარადრე გლეხებსაც ემუქრებიან, დაგხოცავთ, თუ ან გვიჩივლებთ, ან შიგ გაივლითო. მაინც ერთი მენახშირე, გვარად კურტანიძე, კინაღამ თოფით მოეკლათ. ჩვენ თვით ვნახეთ მოიჯარადრე გლეხები, შემოგვჩივლეს და შემოგვტირეს, გვიშველეთ რამე, ერთი უმეცარი ხალხი ვართ, არ ვიცით, ვის მივმართოთ საშველადაო. გლეხების ლაპარაკიდანა სჩანდა, რომ თუ დროზედ არავინ მოეპატრონა ამ საქმეს, სისხლის ღვრა მოხდება და უნდა დაიღუპნენ.

ამ ზამთრობით არც ერთი მებატონე, არც სტაროსელსკი და არც თ. ა. შ—ი სოფლად არა სცხოვრებენ, თორემ ასე არ წათამამდებოდნენ ყარაული ლეკები. გლეხები მებატონეებს ლოცავენ; ისინი რომ გაიგულეს, მარტოდ დარჩათ ლეკებს ბურთი და მოედანი, დამშლელი არავინ ჰყავთ და ასრე უწყალოდ გვარბევენო.

გამწარებულს გლეხებს მაზრის უფროსისათვის მიურთმევიათ შემდეგი საჩივრის ქაღალდი: ჩვენ თ. ა. შალ—ს მამული გვაქვს თორმეტის წლობით აღებული 500 მანეთად წელიწადში და ყველაფრის უფლება გვაქვს მებატონისაგან მონიჭებული პირობის ძალითაო. ამ იანვრიდან-კი ბ-ნ სტაროსელკის ლეკები გვირბევენ ხალხსა, რომელიც ჩვენგან აღებულის ტყით სარგებლობენ, არც ჩვენ გვაძლევენ ნებას ვისარგებლოთ, გვემუქრებიან, დაგხოცავთო. რამდენჯერმე კიდეც გამოგვეკიდნენ მოსალავადაო. ამიტომ გთხოვთ უბრძანოთ, ვისაც ჯერ არს, მოახდინოს პოლიციური გამოძიება და, თუ ჩვენი მოხსენება მართალი აღმოჩნდება, უბძანოთ დაგვიბრუნონ წართმეული ცულები, მაზარები და ასაკრავები, და ჩვენც ნუ გვემუქრებიან სიკვდილითაო.—არზასთან წართმეულ ნივთების სიაც წარადგინეს, მაგრამ მაზრის უფროსი ამ საქმის განხილვაში არ შევიდა და ქაღალდი უკან დაუბრუნა თურმე, როგორც გლეხებმა სთქვეს.

როდესაც გასჭირებიყოთ საქმე საბრალო გლეხებს, უსამართლოდ დაჩაგრულებს სულ ორის ლეკისაგან, ვიღასაც ერჩია, რომ „გაზეთში ჩააგდებინეთ ეს ამბავიო, მაშინ მთავრობაც შეიტყობს, თქვენი ბატონიცა და ამ ლეკების ბატონიცაო". მოვიდნენ ჩემთან, როგორც თავიაანთს ნაცნობს კაცთან, თვალ-ცრემლიანნი შემომეხვეწნენ გაზეთში ჩაგვიწერე ეს ჩვენი გაჭირვებაო, იქნება ღმერთმა ჰქმნას, ყურად-ღება ათხოვოს, ვისიც ჯერ არს, და ამ გაჭირვებიდამ დაგვიხსნასო.

მეც ვუსრულებ უბრალოდ დაჩაგრულებს სურვილს, ვაცხადებ მათს ნამდვილს გაჭირვებას და მივაქცევ ამ საქმეზედ მათს ყურადღებას, ვისიც რიგია, რომ ხელი შემწეობისა მიაშველოს და სისხლის ღვრისაგან დაიხსნას ეს ხალხი. მე თვით, ამ სტრიქონების დამწერმა, ვნახე და წავიკითხე მაზრის უფროსთან დაწერილი ქაღალდი, ვნახე აგრეთვე სია წართმეულის ნივთებისა; სია შემოწმებულია რუისის მამასახლისის გიორგი ბუზიაშვილისაგან: სიაში სათითაოდ არის ჩამოთვლილი სახელი და გვარი დარბეულთა და რაოდენობა წართმეულ ავეჯეულობისა. იმედია, გლეხების კურტანიძეების და ლომიძის გაჭირვებულს მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევენ და მწუხარებისაგან დაიხსნიან, როგორც იმათ, ისე სხვებსაც, რომელნიც-კი იმათგან იჯარით აღებულის მამულით სარგებლობენ.

## სიმინდის საქმე ქუთაისის გუბერნიაში.

(წერილი ქუთაისიდამ)

აი პასუხი ფინანსთა მინისტრისა იმ დეპეშის შესახებ, რომელიც ამას წინად იქმნა გაგზავნილი „საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან" და, რომელიც „ივერიაში" იყო დაბეჭდილი. დეპეშა მოწერილია „საზოგადოების" თავმჯდომარის თუმანიშვილის სახელობაზე.

„თქვენის შუამდგომლობის გამო, რომ გზა გაეხსნას დიდ-ძალს სიმინდს, რომელიც არის ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში, მე შევატყობინე ყოველივე გარემოება შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტრომ მაცნობა ახლა, რომ მაგ დიდ-ძალის სიმინდის შესახებ ამიერ-კავკასიაში ეუწყა იმათ, ვინც განაგებენ ხალხის გამოკვების საქმეს დამშეულს გუბერნიებში და, როგორც ვიცით, იქ სიმინდის ყიდვას დაიწყებენ ორიოლის გუბერნიის ერობა და მოსკოვის ქალაქის მოურავი". *)

—

ამ ჟამად მოსკოვის ქალაქის მოურავი იმყოფება ჩვენში, ე. ი. ტფილისში, და ამ დღეებში აქაც მოელიან. როგორც ვფიქრობთ, იგი მოსულა სხვათა შორის სიმინდის რაოდენობისა და იმის მაზანდის შესატყობად და შეიძლება სიმინდის საყიდლადაც. იმედია, რომ გუბერნატორს ჰნახავს და მოელაპარაკება ამ საგანზე და მოლაპარაკების დროს, უეჭველია, დაესწრებიან ჩვენის საზოგადოების წარმომადგენლებიც, სხვათა შორის, ჩვენის ბანკის თავმჯდომარე ბ-ნი თუმანიშვილიც. ბ-ნს თუმანიშვილს აზრად აქვს აუხსნას მოსკოვის ქალაქის მოურავს დაწვრილებით, როგორც ჩვენის ქვეყნის შევიწროებული მდგომარეობა სიმინდის გაყიდვის შეჩერებით, აგრეთვე ის საფუძვლიანი იმედებიც, რომელიც ჰქონდათ მიწად-მოქმედთა და მიწად-მფლობელთ სიმინდის დიდის მოსავლისაგან და რომ სწორედ ამ იმედით გააძლიერეს სიმინდის წარმოება. ამას გარდა, თავსმჯდომარე აუხსნის რუსეთის წარმომადგენელს, რომ ჩვენის ქვეყნისთვის დიდად საზარალო იქნება მთავრობამა და მისგან წარმოგზავნილმა აგენტებმა ისარგებლონ ჩვენის ქვეყნის შევიწროებულის მდგომარეობით სიმინდის სამზღვარ გარედ გატანის აღკრძალვის გამო და სულ მცირე ფასად ჩაიგდონ ხელში ამოდენი მოსავალი ქვეყნისა. ესეთი ამბავი უსამართლობა იქნება თუ წარმოვიდგენთ იმ გარემოებას, რომ თვით რუსეთში, სადაც აგრეთვე აღკრძალია პურის გატანა სამზღვარ გარედ, პურის ფასი-კი არ დაკლებულა, აიწია კიდევაც და თვით მთავრობამაც სამართლიან საქმედ დაინახა, რომ პურის ფასი არ დაწეულიყო იმაზედ ნაკლებ, როგორც ფასობდა საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვის დღეს. ამასაც რომ თავი დავანებოთ—დაწეულის ფასის შეძლევა მცხოვრებლებისათვის მავნებელი იქნება მთელის ქუთაისის გუბერნიისათვის იმ მხრით, რომ მიწის მუშა ხალხს გული გაუტყდება და აღარ დაიმუშავებს სამერმისოდ იმოდენა ადგილ-მამულს და შეიძლება ეს გარემოება მავნებელი გახდეს, არა მარტო ჩვენის ქვეყნისათვის, არამედ მთელის რუსეთისათვისაც. ამასგარდა, არ უნდა დავივიწყოთ ის ზარალი და მსხვერპლი, რომელიც ქუთაისის გუბერნიამ უკვე მოიტანა ამ უბედურების დროს სიმინდის გაყიდვის შეჩერებით. უკანასკნელი ფასი სიმინდისა აღკრძალვის დღეს იყო ოთხი აბაზი ფუთზე, სიმინდის მოწევის დროს ე. ი. შემოდგომის დამდეგს და ყველაფერი იმედს იძლეოდა, რომ სიმინდის ფასი ავიდოდა მანეთსა და ექვს აბაზამდე. ასე რომ ოთხ აბაზადაც რომ იქნეს ეხლა შესყიდული ჩვენი სიმინდი, მაინც საკმაო ზარალი ექნება ჩვენს გუბერნიას.

—

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ამბავიც შეგატყობინოთ;

მკითხველს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ყოველს გუბერნიაში დაარსებული არის კომიტეტი დამშეულთა დასახმარებლად. ამ კომიტეტში წევრად არიან გუბერნატორი და უწარჩინებულესნი გუბერნიაში. ამ ნაირი კომიტეტი არსებობს ქუთაისშიაც. კომიტეტის თავსმჯდომარეა პრინცი ოლდენბურგისა. ამ კომიკომიტეტს შესახებ ჩვენის გზა-შეკრულის სიმინდისა აი რა გადაუწყვეტია: რადგან მოსკოვის მურავი ბ-ნი ალექსეევი მოსულა კავკასიაში სიმინდის საყიდლად, იმედია, იყიდის რამდენსამე ნაწილს, ხოლო რაც დარჩება, ესე 4 მილიონი მაინც, თუ მეტი არა, იმის შესახებ მივმართოთ თხოვნით მის უმაღლესობას მემკვიდრე ცესარევიჩს, რომელიც ბრძანდება უმთავრესის კომიტეტის თავმჯდომარე, რომ გვიშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რათა დაგვრთონ ნება სიმინდის საზღვარ გარედ გატანისა იმ პირობით, რომ ყოველს ფუთს გატანილს სიმინდზე ერთი შაური ბაჟი აიღონ დამშეულთა სასარგებლოდ. იმედი აქვთ აქაურ კომიტეტის წევრთ, რომ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნება ამ მოკლე ხანში და ჩვენს სიმინდს გზა გაეხსნება. რაც უნდა იყოს, ერთი შაურით-კი არა, ორი შაურითაც რომ ნაკლებ გაიყიდოს ჩვენი სიმინდი საზღვარ გარედ გასატანად, მაინც იმედია ჩვენი მემამულენი და მიწის მუშაკნი კიდევ გამორჩებიან ოთხსა აბაზს და ოთხ აბაზ უზალთუნს მაინც, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჯერ ისევ შემოდგომის დამდეგსვე სიმინდის მაზანდა ოთხი აბაზი იყო. ამით რუსეთს მაინცა და მაინც არა დააკლდება-რა და ქვეყანა-კი დიდს ხეირსა ჰნახავს, ხოლო ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება შემდევისათვის.

*) ასეთივე დეპეშა მიიღო ფინანსთა მინისტრისაგან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამაც.

## წვრილი ამბავი

ჟურნალი „სპორტ"-ი და გაზეთი „Русский Курьеръ", რომლებიც მოსკოვში იბეჭდებოდა, სამუდამოდ აკრძალულ იქმნა.

— რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს შემდეგი ღონისძიება იხმაროს განზრახ სახლების გადაწვის მოსასპობად. დამზღვეველ საზოგადოებათ უნდა ურჩიოს, რომ წესად შემოიღონ და დაზღვეულ სახლის პატრონს მხოლოდ იმდენი ფული გადუხადონ, რამდენიც საჭიროა, რომ დამწვარი სახლი ისე განახლდეს, როგორც ცეცხლის წაკიდების დროს იყო. თუ ეს წესი იქნება შემოღებული, მაშინ არავისთვის სახეირო აღარ იქნება, რომ სახლი მომეტებულ ფასად დააზღვიოს და არც არავინ წაუკიდებს ცეცხლს თავისს სახლსა.

— პეტერბურგში ახალი საზოგადოება არსდება, რომელსაც საგნად ექნება, ყოველგვარი საშუალება იხმაროს, რომ თვალის სინათლის დაკარგვის მხრივ უზრუნველი ჰყოს ხალხი.

გაზეთ „Itilie"-ში დაბეჭდილია რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა გერმანიის ცნობილ მკურნალის ბ-ნ კნეიპისა შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა სახლის გათბობა. კნეიპი ამბობს, რომ ზოგი 16—20°-ამდე ათბობს სახლსაო, ზოგი-კი 12—16° სითბოზედ მეტს ვერ იტანს. ოთახში სითბო 16-° მეტი არ უნდა იყოსო, წინააღმდეგს შემთხვევაში კაცი სითბოს ეჩვევა, სიცივეს ველარ იტანს და შეიძლება მალე გაცივდეს. მოხუცებულებისთვის უფრო სასარგებლოა, რომ ოთახში ნაკლები სითბო იყოს და არამცა და არამც 8-°-ს არ აღემატოს. სასურველია აგრეთვე, რომ ღუმელი ან ბუხარი საწოლს ოთახში არ იყოს. საზოგადოდ კნეიპის აზრით, ოთახის თბილი ჰაერი მავნებელია ადამიანის ჯან-მრთელობისთვის, დაწმენდილი ჰაერი, სიგრილე-კი მეტად სასარგებლოა. რამდენიც უფრო სითბოს ეჩვევა ადამიანი, იმდენად სხეული უსუსტდება და სიცივეს ველარ იტანს."

## ბიბლიოგრაფია

რაფფი, № 1. რამდენიმე მოთხრობა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, ნათარგმნი სომხურიდამ დავით ტერ-დავითიანცის მიერ.

ამ პატარა წიგნში მოთავსებულია რაფფის სამი პატარა მოთხრობა. სამწუხაროდ, ხელში არა გვაქვს და არცა მგონია ამ მოთხრობებზე მეტი რამ იყოს ჩვენს ენაზე ნათარგმნი, სრული კრებული მოიპოვებოდეს ავტორის თხზულებათა, რის გამოც ძნელია მსჯავრის განაჩენის წარმოთქმა მწერლის ნიჭიერებისა და მის შემოქმედობის შესახებ, თუმცა-კი ერთი მოთხრობა, ერთი ლექსიც ხშირად მოგვცემს იმდენს მასალას, რომ მიხვედრით ვსთქვათ სიტყვა მწერლის ნიჭის და იდეალის თაობაზე. რაფფის ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მეტად მდაბიოდ სწერს, მდაბიოდ და გულ-თბილად, არ უჭრელებს კაცს თვალებს ბუნების სურათების აღწერით, არ უჭედავს ყურებს ფრაზების ჰექა-ქუხითლი. მისი სიტყვაც მარტივია, სურათიცა, მაგრამ ძლიერად ებეჭდება კაცს გულში. ხშირად სიმარტივეში ძლიერებაა.

რაფფის ნიჭის უმთავრესი ძარღვი—გლოვაა დაჩაგრულის, დამდაბლებულის, გალახულის კაცისა; ტირილია იმ ადამიანთა, რომელთაც ცხოვრება მძიმე ტვირთად დასწოლია და სჩაგრავს

წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი არც ძვირადა ღირს; ხოლო ენას აქა-იქ ცოტაოდენი შალაშინი აკლია.

N

## გასართობი

გამოჩენილი მომღერალი ქ-ნი პატტი ისყიდება! არა გჯერათ? მართლ-მორწმუნე შირ-ალი-ოღლის წვერს გეფიცებით! ხუმრობა იქით-და, ჩიკაგოში უკვე ორმოც-და-ათი ტიკინი—თოჯა გაუკეთებიათ. გარეგნობით ეს ტიკინი ძალიანა ჰგავს ქ-ნს პატტის, ასე რომ ვერც-კი გამოარჩევთ. მართულებით არის მოწყობილი და ადვილადა ჰხმარობს, როგორც ხელ-ფეხს, ისე სახესაც ლამაზად ამოძრავებს. შიგ ტიკინში ფონოგრაფია მოთავსებული. მოჰმართავთ თუ არა გასაღებით, მაშინვე ბულბულსავით გალობას დაიწყებს ტიკინი. ერთის სიტყვით, ტიკინი ყოველფრით პატტისა ჰგავს, ხმითაც, ხელ-ფეხის მოძრაობითაც, სახითაც, შავის თვალებითა და მიმიკითაც. თითო ტიკინი 500 მანეთიდგან 3,000 მანეთამდე ჰღირს. ვისაც ჰნებავთ, ნიუ-იორკში მიჰმართეთ და ადვილად შეგიძლიანთ დაიბაროთ.

**

ჩვენის დროის ფილოსოფოსის ნათქვამი:

— თუ გინდათ, რომ ქალმა შეგიყვაროთ, ცემას ნუ მოაკლებთ, მხოლოდ მეტად ძალიანაც-კი ნუ სცემთ, თორემ თავიდგან ვერასოდეს ვერ მოიშორებთ.

— ქალებმა ყველაზედ უფრო ის იციან, რაც არ უსწავლიათ.

— ქალებს ხშირად ძალიან პაწია ხელები აქვთ, მაგრამ ამ ხელებით-კი მაინც უშველებელ სულელების მორჯულებას შეიძლებენ ხოლმე.

— კოპწია და გეგლუცა ქალის გული ალბომსა ჰგავს; ყველა მასი მოტრფიალე თითო ფურცელს ჩამოირიგებს და ქმარს მხოლოდ ცარიელი ყდა-ღა შერჩება ხოლმე ხელში.

**

მასკარადში ორი მეგობარი შეხვდნენ ერთმანეთს. ერთმა შეაყენა მეორე და მწუხარე ხმით თვალით შეეკითხა:

— ჭეშმარიტი მეგობარი ხარ ჩემი?

— ჭეშმარიტი!

— მაშ ჩემთან ერთად უნდა იტირო და თავი მოიკლა!

— რა იყო, რა მოხდა განა ისეთი?

— რა მოხდა და ის მოხდა, რომ, როგორც ეს არის ახლა შევიტყე, შენი ცოლი ორივეს გვატყუებს და გვღალატობს თურმე.

**

ანდაზა: გასათხოვარი ქალი ბატკანია, ქვრივი—მგლა და გათხოვილი—ქორი.

---

## დეპეშა

7 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია შემდეგი კანონები): 1) რომ აღკრძალულ იქმნას პოლშის სამეფოში ხმარება მანძილის რუსულის საზომისა, უკეთუ მეორე მხარეზედ იქმნება აღნიშნული პოლშური ზომაცა; აღკრძალულ იქმნას აგრეთვე, რომ გამიჯვნის გეგმაში, სიებში და მიწის ზომვაში რუსეთის ზომასთან არ იყოს ნახმარი პოლშურიცა; 2) პოლშის სამეფოში აღეკრძალოს დედაკაცებს მუშაობა მღვიმე-მაღაროებში, მადნებსა და ქვისსატეხებში. ეს განკარგულება ნუ იქმნება შესრულებული სამის წლის განმავლობაში იმ დედაკაცების შესახებ, რომელნიც ამ კანონის გამოცემის დროს უკვე ამისთანა მუშაობაში იქმნებიან; 3) მომრიგებელ მოსამართლის არჩევის დროს სიების შედგენაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ადგილობრივნი სამაზრო წევრნი ოლქის სასამართლოსანი, საერო სამოურავოთა უფროსნი და ქალაქის მსაჯულნი.

ტობოლსკის გუბერნიაში სხვა-დასხვა უწესოებათა ასაცილებლად გაგზავნილ იქმნა სენატორი თავადი გოლიცინი, რომელსაც მიეცა, უფრო დამშეულთა საქმის განსაკარგებლად, უფლებანი გენერალ-გუბერნატორისა და ნება იმისი, რომ განსაკუთრებულს შემთხვევაში გამოაცხადოს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელით უმაღლესი ბრძანებანი.

ფქვილის ყიდვის საქმის გამო კომისიამ არა სცნა, რომ პეტერბურგის საქალაქო გამგეობა მოქმედებდა ან ბოროტის განზრახვით, ან ანგარებით და ან სხვა სათაკილო სურვილით; გამოაშკარავებულ იქმნა მხოლოდ ზოგიერთი უწესოებანი, ერთის მხრით სამძიმონი და მათ მიზეზად ცნობილ იქმნა უფრო ნაკლებულებანი თვით გამგეობის მოწყობილობისა. გამგეობის წევრთა: ნიმანისა და იაბლონსკის მოქმედება კომისიამ დასახა ღირსად სრულის საყვედურისა, რადგან აღმოჩნდა, რომ მზრუნველობა არ გაეწიათ და ყური არ ეგდოთ საქმისათვის; ამის გამო ეს ორნი შესაძლოა პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი სასამართლოს წესისაებრ და დათხოვნილ სამსახურიდამ.

**პარიჟი.** გუშინ დეპუტატთა პალატაში ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ განხილულ იქმნას ამხანაგობათა შესახებ კანონ-პროექტიო; ამ კანონ-პროექტში ჩართულია ისეთი გადაწყვეტილებანიცა, რომელიც სცვლის უმთავრესს წესებს კათოლიკეთა სამღვდელოების შესახებ. რადიკალები ითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ განიხილოს პალატამ ეს საგანიო და ამით უნდოდათ გაეგებინებინათ ყველასთვის, რომ ზემოხსენებული კანონპროექტი მიმართულია ეკკლესიისა და სახელმწიფოს განსაყოფადაო. ფრეისინემ განაცხადა პასუხად, რომ მთავრობა თანხმაა დაუყოვნებლივ გაისინჯოს ეგ საგანიო, მხოლოდ იმიტომ-კი არა, რომ ვითომ მით სთქვას, აი ეს განხილვა პირველი საფეხურია ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებისათვისაო, არამედ თანხმაა ისე, როგორც ჩვეულებრივს საგანზე დასთანხმდებიან ხოლმე ხანდახანაო. პურკერსმა წარადგინა აზრი იმისი, რომ შევუდგეთ ახლა სხვა მორიგ საქმეთა განხილვას და ვსთხოვოთ მთავრობას განაგრძოს სარესპუბლიკო პოლიტიკაო. ფრეისინემ შეიწყნარა ასეთი აზრი და ამასთანავე გამოაცხადა, რომ თუ პალატაც თანხმა არ იქმნა ამ აზრისა, კაბინეტი გადადგება სამსახურიდამაო. პალატამ არ შეიწყნარა პურკერსის აზრი და მინისტრებმა დასტოვეს დარბაზი დეპუტატთა კრებისა. შემდეგ პალატამ უარ-ჰყო აზრი კანონპროექტის განხილვის დაუყოვნებლობისა და მისი კრებანი გადაიდო ორშაბათისათვის. სამინისტროს კრიზისს არავინ არ მოელოდა. პალატის ტალანებში ბჭობდნენ იმის შესახებ, რომ ახალის სამინისტროს შედგენა ძალიან გაჭირდებაო. მინისტრების კრებაზე ფრეისინემ სთქვა, ვფიქრობ გამოვაცხადო, რომ სამინისტრო თავს ანებებს სამსახურს და ხვალ დილით მივართმევ რესპუბლიკის პრეზიდენტს ქაღალდს კაბინეტის სამსახურიდამ გადადგომის შესახებაო.

**პარიჟი.** გაზეთები, რადიკალის მიმართულებისაც-კი, ამბობენ, რომ ძნელია ზედ-მიწევნით დაასკვნას რამ კაცმა, რა გამოდის პალატის გუშინდელ წინა-უკმო და ერთმანერთის წინააღმდეგის გადაწყვეტილებათაგანაო. როდესაც ელისეს სასახლეში საღამოზე ოფიციოზურად მიჰმართეს ფლოკეს, რას გვირჩევო, მან სთქვა, რომ ეგ გარდაწყვეტილებანი შეუძლებელია მივიჩინოთ კაბინეტის პოლიტიკის უეჭველ დაწუნებადაო, ბევრნი იმასა ფიქრობენ, რომ კრიზისის ბოლო იქმნება თითო-ოროლა მინისტრის გამოცვლაო.

**პარიჟი.** კარნომ მოილაპარაკა მინისტრებთან და შეაწყნარა კაბინეტის სამსახურიდამ გადადგომის ქაღალდი.

პეტერბურგის ბირჟა, 7 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 09 | 8, 12 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 162 | 162½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 16 | 1, 18 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224¾ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | 200 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

---

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

---

# განცხადებანი


უმდაბლესად ვთხოვ პატივცემულს საზოგადოებას, ჰაშნიკად და საცდელად მაინც იხმიოს ჩემი

**კახური ღვინო,**

რომელიც ახლად გამართულს საწყობშია, ვარანცოვის წყლის პირის (ნაბერეჟნი) ქუჩაზე, საკუთარს სახლში. ჩემი ღვინოები ტფილისის სარდაფების ღვინოებზე უკეთესია და იაფიც. გთხოვთ შეადაროთ ჩემი ღვინო ბოთლი 15 კ. სხვის ღვინის ბოთ. 25 კ. და აგრეთვე ჩემი სხვა ფასიანი ღვინოებიც 60 კ-დე ბოთლი შეიძლება სხვებისაზე უფრო იაფად იყიდოთ.

---

**სიმრთელის კიდობანი**

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განსაჯული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად ისყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში, გორში — არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია შათვათავასთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კოსტანტინე კაჩეიშვილთან; ნაგომარში—ა. კილურაძესთან; ფოთში—ავტორთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80 კ. დაეთმობა.

(8—3)

---

**ქ. ოზურგეთში**

**ესმა გიორგის ასული ქიქოძე,** რომელსაც **ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან** თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს **სამის თთვის ვადით** იმ პირობით, რომ ზემო თქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაასწავლოს. სასყიდლად სამისავე თთვისათვის მხოლოდ **ოცს** მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს.

(6—5)

---

**სატუალეტო საშუალება დედათათვის**




იხმარება კანისა, სახისა და ხელების დასაბანად.

**წესი ხმარებისა:** ამ ბალზამის შემზადების დროს უმთავრესი ყურადღება იმასა აქვს მიქცეული, რომ ისეთი მასალა არა ერიოს-რა შიგ, რაც კანს ახდენს და აფუჭებს. ფასი: შუშა ჰღირს 1 მ. 65 კ. **ბენზოს საპონი** 35 კ. და 50 კ. ნაჭერი და **ოპო პომადა** (კოლდ-კრემს სჯობია) 1 მ. შეხვევა და გაგზავნა ევროპის რუსეთში 70 კ., აზიის რუსეთში—1 მ. უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება **ვ. აურიხთან,** ს.-პეტერბურგს, კოლოკოლ., 18—19. შეიძლება ყიდვა ყოველს საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში და რუსეთის ზოგიერთს აფთიაქში.

(7—3)

---

**ი. ალოიზი და ამხ.**

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგურს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად

(16—9)

ი. ალოიზი

---

**ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| კედლის კალენდარი 1892 წ. მრავალის ცნობებით . . . | „ | 40 |
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე, ყდით . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . — . | „ | 80 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. ალნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| იგივე, ყდით . . . . . . . . | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . . — . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი შედგ. ვ. გუნიას-მიერ . . . | „ | 45 |
| სახალხო კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| უბის წიგნი (მშვენიერის ყდით) მისივე . . . . | „ | 40 |
| მაცი ხვიტია, მოთხ. ან. ფურცელაძისა. . . . | „ | 50 |
| ამპარტავანი გიორგი. თარგ. ილ. ფერაძისა . . . | „ | 5 |
| კრილოვის არაკები, აკაკისა. . . . . — . | „ | 30 |
| დ. ბაქრაძე, ბიოგრაფიული წერილი . . . . . | „ | 20 |
| „ცდა“ III წ. . . . . . . . . | „ | 50 |
| „სამი კომედია“ ავქ. ცაგარლისა . . . . . | „ | 60 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა . . . . | „ | 25 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| სამი ცელქი, ძ. მღვიმელისა . . . . — . | „ | 20 |
| ძუნწი, მისივე . . . . . . — . | „ | 13 |